



სამოქალაქო განათლების ტესტი

2014

ინსტრუქცია

ტესტი ეყრდნობა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. იგი ამოწმებს მასწავლებლის საგნობრივ კომპეტენციასა და საგნის სწავლების მეთოდიკას.

თქვენს წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტში სხვადასხვა ტიპის დავალებებია. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ. ყველა პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ. წერეთ გარკვევით. პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

ტესტის ბუკლეტის ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის.

გაითვალისწინეთ:

გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკვეცვა დაუშვებელია!

ტესტის მაქსიმალური ქულაა -70

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

➤ არჩევითბოლოიანი დავალება (№1-8, 18-19)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შეუძლებელია გადასწორებული პასუხის ხელმეორედ არჩევა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

➤ შესაბამისობის დადგენა (№ 11-13,20)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

➤ თანმიმდევრობის დადგენა (№10)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

➤ შეცდომის შესწორება (№14-15)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

➤ დავალება ღია დაბოლოებით (№ 9,16, 17, 21-24)

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით და მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

I. ცოდნა და უნარები

1. რა ეწოდება ინდივიდის მიერ კულტურული ნორმების, ქცევის მოდელების და ფასეულობების შეთვისების პროცესს?
 - ა. სოციალიზაცია
 - ბ. კულტივირება
 - გ. აკულტურაცია
 - დ. მოდელირება

2. რა ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება, პრაქტიკა და ორგანიზაციები კარგავენ სოციალურ გავლენას და მნიშვნელობას?
 - ა. სეგრეგაცია
 - ბ. რეფორმაცია
 - გ. კლერიკალიზაცია
 - დ. სეკულარიზაცია

3. რომელი ისტორიული პირები მონაწილეობდნენ რელიგიური სისტემების გარდაქმნაში?
 - ა. კალვინი და მაჰათმა განდი
 - ბ. მარტინ ლუთერი და კალვინი
 - გ. მაჰათმა განდი და მარტინ ლუთერი
 - დ. მარტინ ლუთერ კინგი და მაჰათმა განდი

4. ქვემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური იდეოლოგიის სახეებიდან რომელი არ მიეკუთვნება ნაციონალიზმს?
 - ა. ფაშიზმი
 - ბ. ნაციზმი
 - გ. სიონიზმი
 - დ. ლიბერტარიანიზმი

5. მართებულია თუ არა მსჯელობა პირველი თაობის უფლებების შესახებ?

I. პირველი თაობის უფლებები ეფუძნება პიროვნების პირადი თავისუფლების იდეას.

II. პირველი თაობის უფლებები ეფუძნება სახელმწიფოს ჩაგვრისაგან პიროვნების დაცვის იდეას.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

6. მართებულია თუ არა მსჯელობა საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციის შესახებ?

I. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციაა კანონის და საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა.

II. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციაა საერთო სასამართლოების ზოგადი კონტროლი.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

7. მართებულია თუ არა მსჯელობა გლობალური ეკონომიკის შესახებ?

I. გლობალური ეკონომიკა ქმნის თანაბარ სამუშაო პირობებს დასაქმებულთათვის მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში.

II. გლობალური ეკონომიკის პირობებში პროდუქციის წარმოების პროცესი შეიძლება მოიცავდეს ერთზე მეტ ქვეყანას.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

8. საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში შრომის ბაზარს ქმნის:

I. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მთელი სამუშაო ძალის მიწოდება.

II. დაქირავებულ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

9. (1) გააანალიზეთ რას ასახავს მოცემული სქემა და დაასათაურეთ იგი.



10. ქრონოლოგიურად დალაგეთ ადამიანის უფლებათა დოკუმენტები მათი მიღების თარიღის მიხედვით:

1. უფლებათა ბილი (აშშ)
2. თავისუფლების დიდი ქარტია (ინგლისი)
3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
4. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (საფრანგეთი)

		1	
--	--	---	--


11. (2) დაადგინეთ შესაბამისობა ძირითად ეკონომიკურ სისტემებსა და მათ მახასიათებლებს შორის:





I. მახასიათებლები	II. ეკონომიკური სისტემები
<p>ა. ქონების კერძო მფლობელობა;</p> <p>ბ. კონკურენცია;</p> <p>გ. სწრაფვა კოლექტიური მიზნებისკენ;</p> <p>დ. მთავრობის მიერ ეკონომიკის კონტროლი;</p> <p>ე. თავისუფალი ბაზარი;</p> <p>ვ. ქონების საზოგადოებრივი მფლობელობა;</p> <p>ზ. პირადი მოგებისკენ სწრაფვა.</p>	<p>1. კაპიტალიზმი</p> <p>2. სოციალიზმი</p>

12. (2) საჯარო დაწესებულებებში დაცული სხვადასხვა ინფორმაცია შეუსაბამეთ ინფორმაციის სახეებს:

I. საჯარო ინფორმაცია	II. ინფორმაციის სახეები
<p>ა. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა;</p> <p>ბ. საჯარო დაწესებულების თანამდებობის პირთა წლიური შემოსავალი;</p> <p>გ. ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემები;</p> <p>დ. საპარლამენტო კენჭისყრის შედეგები, რომელიც ასახავს ინფორმაციას, თითოეულმა პარლამენტარმა რომელ კანონს მისცა ხმა;</p> <p>ე. ინფორმაცია სახელმწიფო დაზვერვის საქმიანობაზე;</p> <p>ვ. საჯარო დაწესებულების თანამშრომელთა რაოდენობა და წლის მანძილზე მათ შრომის ანაზღაურებაზე გაცემული თანხის საერთო ოდენობა;</p> <p>ზ. პოლიტიკური პარტიების წლიური ხარჯები, შემოწირულობები და შემომწირველთა ვინაობა;</p> <p>თ. ინფორმაცია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების დონის შესახებ.</p>	<p>1. ღია საჯარო ინფორმაცია</p> <p>2. დახურული ინფორმაცია</p>

13. (2) რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყნებში კორუფციის გავრცელებას („კორუფციის აღქმის ინდექსი“ 2013 წ.). ცხრილში მოცემული რუკის ლეგენდის ფერები დაუკავშირეთ კორუფციის შესაბამის დონეს:



I. კორუფციის დონე	II. რუკის ლეგენდის ფერი
ა. ძალიან დაბალი დონე	1. ვარდისფერი 
ბ. დაბალი დონე	2. შინდისფერი 
გ. საშუალო დონე	3. ნარინჯისფერი 
დ. მაღალი დონე	4. მწვანე 

14. (7) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და შეასწორეთ შეცდომები:

კონსტიტუციონალიზმი საქართველოში

კონსტიტუცია არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის საფუძვლებს. დღეს მსოფლიოში მოქმედ დაწერილ კონსტიტუციათა შორის 1787 წლის გერმანიის კონსტიტუცია ყველაზე ძველია. ზოგიერთ სახელმწიფოს დაწერილი კონსტიტუცია არ აქვს, ასეთი ქვეყანაა საფრანგეთი.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 მარტს მიიღო. კონსტიტუცია ამკვიდრებდა დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას და ერთ-ერთი პირველი კონსტიტუციაა, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებთან ერთად უზრუნველყოფდა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ მხოლოდ რამდენიმე დღე იმოქმედა, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა, რამდენადაც საქართველოში კონსტიტუციონალიზმის დასაწყისად მიიჩნევა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს გათავისუფლების დღიდან საქართველოში ოთხი კონსტიტუცია მოქმედებდა. მათ შორის პირველი მიღებულ იქნა 1922 წელს, რომლის თანახმადაც დაწესდა მმართველობის ახალი სისტემა და გაუქმებულ იქნა მოქალაქეთა საერთო საკუთრება.

1990 წლის 28 ოქტომბერს, უზენაესი საბჭოს პირველი ერთპარტიული არჩევნების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ, 1978 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გზით, შეცვალა სახელმწიფო წყობილების ფორმა. საქართველოს რესპუბლიკის დღეს მოქმედი კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო პარლამენტმა.

კონსტიტუციის დახვეწის მიზნით საქართველოს სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობს 1990 წელს დაფუძნებულ ჟენევის კომისიასთან, რომელიც ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანოა კონსტიტუციურ საკითხებში.

15. (5) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და შეასწორეთ შეცდომები:

კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში

ქვეყნის შიგნით ან სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობის ფორმას, რომლის დროსაც მონაწილეთა მხრიდან ადგილი აქვს სამხედრო ძალის გამოყენებას, საზოგადოებრივი კონფლიქტი ეწოდება. ამგვარი კონფლიქტის მიზნები და ტერიტორიული მასშტაბები ომთან შედარებით შეზღუდულია, შესაძლოა საბრძოლო მოქმედებები არ ატარებდეს სისტემატურ ხასიათს და იყოს პერიოდული. მას მიმართავენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ნაციონალურ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა სახის დაპირისპირებათა გადასაწყვეტად.

1989 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც ერთი სახელმწიფო ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის პრეტენზიით ცდილობს დაეუფლოს გარკვეულ ტერიტორიას, რითიც ილახება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. საქართველოს გარდა ამგვარია, პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებული კონფლიქტები: აზერბაიჯანში - ნახიჩევანის ავტონომიური ერთეული, ბელორუსიაში - დნესტრისპირეთი, უკრაინაში - ყირიმი. 90-იან წლებში სამოქალაქო ომები მიმდინარეობდა საქართველოსა და ტაჯიკეთში. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც, კერძოდ, დაღესტანში, ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. ეს კონფლიქტები კვლავ მოუგვარებელია და საერთაშორისო საზოგადოება ეძებს გზებს გაყინული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისათვის.

16. (11) ყურადღებით გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

ა. „ყველა ცოცხალზე უფრო ცოცხალი“



ბ. „ერის დიდი მზე“ კიმ ჩენ ირი



გ. ბავშვები ბელადების ძეგლთან



დ. კიმ ირ სენის გარდაცვალება



წყარო N2

„ტოტალიტარული სახელმწიფო გახლავთ პირუკუ ხატი სამოქალაქო საზოგადოებისა; ტოტალიტარული სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოებას გამუდმებით და გეგმაზომიერად უარყოფს სხვადასხვა იმიტაციების წარმოქმნით. ყოველი ტოტალიტარული ფენომენის პირობა სამოქალაქო საზოგადოების გაუჩინარება, მოკვდინება და მოსპობაა. თუმცა, ასეთივე ჭეშმარიტება გახლავთ საპირისპირო მოვლენა: ძლიერი და ცხოველყოფელი სამოქალაქო საზოგადოება გამორიცხავს ტოტალიტარიზმს, როგორც საზოგადოების შესაძლო ფორმას.“

მერაბ მამარდაშვილი, 1988.

კითხვები:

16.1. რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდნენ კიმ ჩენ ირი და კიმ ირ სენი?

16.2. დაასახელეთ პირველ ფოტოზე გამოსახული ჩინური კომუნიზმის ფუძემდებელი.

16.3. რა ეწოდება ფოტოებზე ასახულ მოვლენას, რომლის დროსაც სახეზეა პიროვნების (პოლიტიკური მოღვაწის) განდიდება, მისი როლის გაზვიადება, მისთვის ისტორიის მსვლელობაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მიწერა?

16.4. აღწერილი მოვლენის საილუსტრაციოდ XX საუკუნის კიდეც რომელ ორ პოლიტიკურ მოღვაწეს დაუსახელებდით მოსწავლეებს?


16.5. რა საშუალებებით მიიღწევა აღნიშნული მოვლენა? დაასახელეთ ორი ყველაზე მძლავრი იარაღი, რომელთაც იყენებენ ტოტალიტარული ტიპის სახელმწიფოს მმართველები საზოგადოების სამართავად.

16.6. ტექსტიდან გამომდინარე, დაასახელეთ რა უპირისპირდება ტოტალიტარიზმს. განმარტეთ თქვენ მიერ დასახელებული ტერმინი.

16.7. იმსჯელეთ არგუმენტირებულად სამოქალაქო საზოგადოების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

16.8. იმსჯელეთ არგუმენტირებულად სამოქალაქო საზოგადოებისა და ტოტალიტარული ტიპის სახელმწიფოს ურთიერთმიმართებაზე. რატომ უშლის პირველის არსებობა მეორის ჩამოყალიბებას ხელს?

17. (3) მოცემულია საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2014 წელს შედგენილი რუკა ლეგენდისა და სათაურის გარეშე. სხვადასხვა ფერით აღნიშნულ სახელმწიფოთა ჯგუფების ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



17.1. რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?

- ა. რელიგიის გეოგრაფია
- ბ. დემოკრატიის ხარისხი
- გ. მმართველობის ფორმები
- დ. ტერიტორიული მოწყობა

17.2. რა არის აღნიშნული რუკის ლეგენდაზე მწვანე ფერით?

17.3. რუკის თემატიკიდან გამომდინარე განსაზღვრეთ, ქვეყანათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება რუსეთი?

II. საგნის სწავლების მეთოდთა

18. მასწავლებელმა კონკრეტული სასწავლო შედეგების მისაღწევად დაგეგმა ქვემოთ აღწერილი საგაკვეთილო აქტივობა:

სასწავლო აქტივობა: გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები ასახელებენ ლიდერისთვის აუცილებელ თვისებებს. მიღებული ჩამონათვალის განხილვისა და დისკუსიის გამართვის შედეგად კლასი თანხმდება ლიდერისთვის დამახასიათებელ ყველაზე მნიშვნელოვან 7-10 თვისებაზე. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, გაიაზრონ და დაწერონ: I. თავად რამდენად აკმაყოფილებენ საბოლოო ჩამონათვალში მოცემულ თვისებებს? II. რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მაქსიმალურად განივითარონ ეს თვისებები?

ქვემოთ ჩამოთვლილი შედეგებიდან რომელი ვერ მიიღწევა მოცემული აქტივობით?

- ა. განივითარებენ წყვილებში მუშაობის უნარ-ჩვევებს
- ბ. მოახდენენ საკუთარი შესაძლებლობების კრიტიკულ ანალიზს
- გ. გაიაზრებენ ლიდერის კომპეტენციებსა და პასუხისმგებლობებს
- დ. განივითარებენ საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს

19. თქვენი მიზანია, მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია ტრეფიკინგის საფრთხის, ეტაპებისა და თითოეულ ეტაპზე გამოყენებული საშუალებების შესახებ, განუვითარდეთ ანალიზის უნარი. განსაზღვრეთ, რომელი სასწავლო ქმედება ყველაზე მეტად ადეკვატური აღნიშნული მიზნის მისაღწევად:


I. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს ტერმინის „ტრეფიკინგი“ მნიშვნელობას, მის ეტაპებს და საშუალებებს. ამის შემდეგ აძლევს მათ საშინაო დავალებას - ისწავლონ სახელმძღვანელოდან პარაგრაფი „ახალგაზრდობა - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის ჯგუფი“.

II. მოსწავლეები გაკვეთილზე გაითამაშებენ როლურ თამაშს, რომელშიც ასახული იქნება დამსაქმებელსა და სამსახურის მაძიებელს შორის გასაუბრების პროცესი. თამაშის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აფასებენ ორივე მონაწილის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

III. მოსწავლეები გაეცნობიან სახელმძღვანელოდან პარაგრაფს „ახალგაზრდობა - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის ჯგუფი“. გაკვეთილზე იმართება მსჯელობა ტრეფიკინგის დროს გამოყენებული საშუალებების კავშირებზე შესაბამის ეტაპთან. ასევე, რისკების მიმართებაზე ასაკობრივ ჯგუფებთან.

- ა. მხოლოდ I
- ბ. მხოლოდ II
- გ. მხოლოდ III
- დ. არცერთი

20. (3) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (www.geostat.ge) მონაცემები (იხ. დიაგრამა) მასწავლებელმა გამოიყენა, როგორც სასწავლო რესურსი თემისათვის „მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში“ და სხვადასხვა სირთულის დავალებები დაგეგმა.



ცხრილის I სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, ხოლო II სვეტში - აზროვნების სხვადასხვა დონე. დააკავშირეთ კონკრეტული სასწავლო აქტივობა შესაბამის კოგნიტურ მიზანთან:

I. სასწავლო აქტივობები	II. სააზროვნო უნარები
ა. ყურადღებით გაეცანით დიაგრამას და თქვენი სიტყვებით გადმოეცით, რა ინფორმაციას გაწვდით იგი?	1. ცოდნა
ბ. მოიძიეთ სხვა ქვეყნების მონაცემები და შეადარეთ საქართველოს მონაცემებს?	2. გაგება
გ. შეადარეთ ერთმანეთს მონაცემები წლების მიხედვით და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება, თუ რით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული მთლიანი შიდა პროდუქტის კლება 2009 წელს?	3. გამოყენება 4. ანალიზი
დ. დაწერეთ სახელმძღვანელოში მოცემული მთლიანი შიდა პროდუქტის განმარტება.	5. სინთეზი

21. (4) მასწავლებელი მიზნად ისახავს, მოცემული ტექსტის გამოყენებით, მოსწავლეებს გამოუმუშაოს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი:

„ჩვენ ვთხოვლობთ ეკლესიის განშორებას სახელმწიფოსაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო და მთავრობა სრულიად არ უნდა ჩაერივნენ ეკლესიისა და სარწმუნოების საქმეში. სამაგიეროდ არც ეკლესია და არც სამღვდელოება უნდა ჩაერიოს სახელმწიფოს საქმეში. სამღვდელოება და ეკლესია უნდა შეინახონ იმათ, ვისაც სწამთ ღმერთი და ეკლესია. ვთქვათ, ერთ სოფელში ას კაცს სწამს ღმერთი, ათ კაცს კი არა სწამს. ასმა კაცმა უნდა აირჩიონ მღვდელი და ისე მოაწყონ ეკლესიის საქმე, როგორც მათ უნდათ, ათ ურწმუნო კაცს კი ძალა არ უნდა დაატანონ რწმენაში. ყველამ ის ღმერთი უნდა ილოცოს, რომელიც მას სწამს, ყველამ ისე უნდა ილოცოს, როგორც მისი სურვილი იქნება. მაშ ასე: ჩვენ ვთხოვლობთ რწმენის სრულ თავისუფლებას. ეკლესიის განშორებას სახელმწიფოსაგან და ვუკრძალავთ მთავრობასაც და სამღვდელოებასაც ერთმანეთის საქმეში ჩარევას.“

მიხეილ ჯავახიშვილი, 1906

21.1. ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა. დაასაბუთეთ თქვენს მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის შესაბამისობა მოცემულ ტექსტთან და მოსწავლეებთან ამ თემის განხილვის საჭიროება.

21.2. ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის როგორც დასაცავად, ისე უარსაყოფად.

22. (5) დავალებაში მოცემულია მოსწავლეების მიერ შედგენილი სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; (დავალება 22.2)
- II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას; (დავალება 22.3)
- III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანის და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. (დავალება 22.1)

სასკოლო პროექტი		
22. 1.	პროექტის მიზანი	<i>(ჩაწერეთ მიზანი რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)</i>
22. 2.	პროექტის ამოცანები	<p><u>I ამოცანა:</u> <i>(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე)</i></p> <p><u>II ამოცანა:</u> მოსწავლეთა დამოუკიდებელი ინიციატივების დაგეგმვა / განხორციელება</p>
22. 3.	განხორციელების გზები	<p><u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. თვითმმართველობის შესახებ ლექციის წაკითხვა; 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეხვედრა; 3. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. <p><u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u> <i>(დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)</i></p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2. 3.

23. (8) გაეცანით მოსწავლეების ნაშრომებს და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული სქემით:

მოსწავლეებმა გაკვეთილზე განიხილა თემა „დემოკრატია“ და მოსწავლეებს შესაბამისი მითითებების შემდეგ შესთავაზა წერითი დავალება: „დემოკრატიული მმართველობა“.

I მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება :

დემოკრატიული პრესტიჟი ნაშრომებს მამოძვლონის ფორმას. როდესაც ხელისუფლება ზრუნავს ქვეყნის გაძლიერებაზე და ყველა მისი ვალანყვეტილება ამ მიზნის მიღწევაზე მიმართული.

არსებებს დემოკრატიის ორი ფორმა უძყოლო და მონანილონითი. როდესაც მთავარ პრინციპს ნაშრომებს ვალანყვეტილების მიღებაში სახელნიფო პოლიციის ვათვალისწინება.

იძისათვის, რომ ხალხის მიერ მინიჭებული ძალაუფლება არ იყოს მოქცეული ოთ ხელში სდება მისი ვანანილება ხელისუფლების ძვოებზე. ჩვენი ქვეყნის ძაელითზე ძვიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ხელისუფლების ოფიციალური ძვოებია: სასამართლო ხელისუფლება, მთავრობა და ძელია.

თავის მხრივ, დემოკრატიასაც ვაჩნია პოზიციური და ნევაციური მხარეები. დემოკრატიის პოზიციური მხარეა ის, რომ ხალხი მონანილონს ხელისუფლების ფორმირებაში და ვალანყვეტილების მიძლება უძმავლონება პასუხისმვეტლონს იღებს უძციიერების უფლებების დაცვაზე. თუძცა დემოკრატია არ არის იღვალური მამოძვლონის ფორმა და ძასაც ვაჩნია საჩვეებები. ძაელითად დემოკრატიული მამოძვლონის ძვეთხვევაში ვალანყვეტილების მიღებას უიღება უფრო ძვეტი დრო. რადვან ვასათვალისწინებელია ვანსხვავეტული მოსაზრებები.

II მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება:

ზოგადად, ღებოცობა ანის ქმაროვლოთის ფობა, ნობლის ღობსაც ქმაროვლოთის თოვანოტს იოხრვს ხაღბი. ქვსაბისად, ღებოცობაყოლი ქმაროვლოთისად ძაღაყოვლოტას ვლოტს ხაღბი. ღებოცობა ქოიძლოტა იყო ნაბობძაღვლოთითი, ნობღვსაც ხაღბის მიუბ აბხყოლი ნაბობძაღვლოტი ილოტუნ ვაღანყოვლოტოტუნ. ლაყოობოტის ქობხყოვადი ხაღბს ქყოძლოა ყძყოლოდ ხაუბოთს ვაღანყოვლოტის მილოტაბი. ქყოყნის ძაბოვის ამ ფობძას ყძყოლოდ ანყო ბობღანბი ღებოცობა ენობღოტა.

ვინაიღან ხეღოსყოვლოტის ლაქობანობა ლვაღასხვაევაბია, ლღოტა მიბი ეანანობოტა ხეღოსყოვლოტის ძვოტუნე ამ ლაქობანობის ციბის მიხეღვით, ნაც ხეღოს ყნყოტს ვაღანყოვლოტოტის ყვბო ლაჩაბოტყოლოდ მილოტას.

ლაქობოვლოტი ხეღოსყოვლოტის ლაბი ძვოა: ბობყოლი - ლაბაბოღაძენცო, ნობყოლიყ ქძნის ყანონტს, ძოობე - აღძასყოლოტელი, ნობყოლიყ ყანონტს აბობციოლოტს ლა ძესაძე ბოღოციბა ლა ჟაბი, ნობყოლიყ იყავს ყანონტს.

ღღეს ძსოვლოტიბი აბსეყოლი ქმაროვლოთის ფობძეღან ყყოღაზე მიბაღოტი ღებოცობაია, ნობღვან ამ ლისეღაბი ყყოღაზე ძეღად აბის ვაბაღლისნინეყოლი ხაღბის ინცეოგეტი. თყოძცა ღებოცობაიბ აეობოჯე ვაბხნია ლესცი ძხაბეტიყ. ძეეაღითაღ, ნეეაციყობია იბ, ნობმ ყძობაყოვლოტის ძობოხოვნის მიყხეღაღად ლახეღძნიფო ყნღა ლაიყვას ყძციობეღოტის ყვლოტეტი.

შეფასების სქემა

	I. რა მოწმდება	II. მაქსიმალური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი		
			2 ქულა	1 ქულა	0 ქულა
A.	დემოკრატიის დეფინიცია და დემოკრატიის ფორმები	3	იცის განმარტება -1 ქულა. ასევე, თითოეული სწორად დასახელებული ფორმა - 1 ქულა.		
B.	ძალაუფლების დანაწევრების პრინციპი	1	-	სწორად ესმის პრინციპი	არასწორად ესმის პრინციპი
C.	ხელისუფლების შტოები	3	თითოეული სწორად დასახელებული ხელისუფლების შტო - 1 ქულა		
D.	დემოკრატიის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები	2	სწორად აყალიბებს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ მხარეს	სწორად აყალიბებს მხოლოდ ერთს	არასწორად აყალიბებს ორივეს

ყურადღებით გაეცანით შეფასების სქემას და ორივე მოსწავლის ნაშრომი შეაფასეთ მოცემული სქემის მიხედვით. მოსწავლეებს დაუწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე.

მოსწავლისათვის თქვენს მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ ცხრილში:

		A	B	C	D
23.1	I მოსწავლის შეფასება				
23.2	II მოსწავლის შეფასება				

24. (6) მოცემულ სასწავლო რესურსზე დაყრდნობით განსაზღვრეთ გაკვეთილის თემა და დაგეგმეთ სასწავლო პროცესი:

სასწავლო რესურსი:

„ახლა ყველა ლაზღანდარულად წერს. თითქოს ყველა ერთმანეთს ეჯიბრება, ვინ უფრო მეტად ილაზღანდარებს. ეს რატომღაც Bon ton-ად ითვლება. ამას კიდევ შეეგუებოდა კაცი, ამ ლაზღანდარობაში ერთმანეთის სიმულვილი გამოსჭვივის ნათლად და აშკარად. იმიტომ კი არ წერენ, რომ პრობლემა აწუხებთ, არამედ უფრო იმიტომ, რომ ერთმანეთი ლანძღონ. შეიძლება ერთმანეთს არც იცნობენ, არც რაიმე წყენა მიუყენებიათ, უბრალოდ, მოსწონთ ადამიანის ლაფში ამოსვრა. მით უფრო იოლი გახდა ეს დღეს. რაც უნდა დაწერო, ყველაფერი იბეჭდება. მალე, ალბათ, გაზეთი "დედისგინება" გამოვა - (იქნებ უკვე გამოსულია და არც კი ვიცი), სადაც უხვად გაგვიმასპინძლებიან იმ ქუჩური მეტყველებით, მთელ საქართველოს რომ მოედო დღეს. მერე კვებნას დავიწყებთ - ისეთ დემოკრატიას მივალწიეთ, მსოფლიოს რომ არ უნახავსო. იმასაც ვიტყვით, სიტყვის თავისუფლება ქართველებისაგან ისწავლა მსოფლიომო.“

აკაკი ბაქრაძე, 1999 წელი.

24.1. დაასახელეთ თემა, რომლის უკეთ გააზრებაშიც დაეხმარება მოსწავლეებს მოცემული ფრაგმენტის რესურსად გამოყენება;

24.2. ჩამოაყალიბეთ კონკრეტული სასწავლო მიზანი: რა ცოდნა, უნარები და განწყობა/დამოკიდებულება გასურთ შეიძინონ მოსწავლეებმა თემის შესწავლისას;

24.3. აღწერეთ სასწავლო მიზნის შესაბამისი კონკრეტული აქტივობა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს თემის უკეთ გააზრებაში.

24.1. თემა:	<i>(დაასახელეთ გაკვეთილის თემა)</i>
24.2. სასწავლო მიზანი :	<p>I. ცოდნა</p> <p>II. უნარები</p> <p>III. განწყობა/დამოკიდებულება:</p>
24.3. სასწავლო აქტივობა:	<p><i>(აღწერეთ თანმიმდევრულად, სრულყოფილად და ლაკონურად სასწავლო ქმედება)</i></p> <p><i>გაითვალისწინეთ! აქტივობა აღწერეთ თემასთან მიმართებაში. მხოლოდ მეთოდების ან ორგანიზების ფორმის დასახელება შეფასდება 0 ქულით.</i></p>